თემთა ინიციატივა

იყავი აქტიური!!! მიიღე მონაწილეობა მაჩოთვაში

№1 / 19 დეკემბერი / 2007წ /

ყოველთვიური ჩანართი

ახალი მიზნები, ახალი ინიციატივები

2007 წლის 11 ოქტომბერს, არასამთავრობო ორგანიზაცია ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირ „ინტელექტს“ და ევროკავშირის წარმომადგენლობას შორის ხელი მოეწერა ხელშეკრულებას პროექტის – „თემთა მობილიზაციის ინიციატივა“ დაფინანსების შესახებ.

პროექტი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ხუთ მუნიციპალიტეტში (ხულო, შუახევი, ქედა, ხელვაჩაური, ქობულეთი) განხორციელდება და მას „ინტელექტთან“ ერთად ოთხი პარტნიორი სათემო კავშირი განახორციელებს. სათემო კავშირი „ქედლები“ ხულოსა და შუახევის მუნიციპალიტეტებში იმუშავებს, სათემო კავშირი „გვანცა“ – ქედაში, სათემო კავშირი „მაჭახელა“ – ხელვაჩაურში, სათემო კავშირი „ჩაისუბანი“ – ქობულეთში. პროექტის გაცნობის მიზნით გთავაზობთ ინტერვიუს ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირის – „ინტელექტის“ გამგეობის თავმჯდომარესთან და პროექტის დირექტორთან, ლევან გოხაძესთან.

ლევან გოხაძე

– ბატონო ლევან, რა არის პროექტის მთავარი მიზნები და ამოცანები?

– სანამ მიზნებსა და ამოცანებზე ვისაუბრებდეთ, მინდა რამდენიმე სიტყვით გითხრათ, თუ საიდან წამოვიდა ამ პროექტის იდეა და რატომ ვსაუბრობთ დღეს თემთა მობილიზაციის ინიციატივაზე.

2006-2007 წლებში ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირმა განახორციელა ორი პროექტი, რომლებმაც აჭარის რეგიონი მთლიანად მოიცვა. პირველი პროექტი გახლდათ – „თემზე დაფუძნებული ანტიკორუფციული სამოქალაქო ინიციატივა“, რომლის მიზანიც იყო ხუთ მუნიციპალიტეტში ადგილობრივი ბიუჯეტების მონიტორინგის განხორციელება, არსებული კანონდარღვევების გამოვლენა და მათი აღმოფხვრა, ადგილობრივ საკრებულოებსა და გამგეობებზე დახმარება მუნიციპალური ბიუჯეტების მიზნობრიობისა და ეფექტურობის ამაღლებისათვის.

მეორე პროექტი, „თემი და არჩევნები“, განხორციელდა 2006 წლის 5 ოქტომბრის თვითმმართველობის ორგანოების არჩევნების შემდეგ და მიზნად ისახავდა მოსახლეობის ინფორმირებულობის დონის გაზრდას ახალარჩეული საკრებულოების, საკრებულოს წევრების ფუნქციებისა და ამოცანების, მოსახლეობასა და თვითმმართველობის ორგანოებს შორის თანამშრომლობის ფორმებისა და მეთოდების შესახებ. ამავე პროექტის ფარგლებში ახალარჩეული საკრებულოების წევრებს ჩაუტარდათ ტრენინგები ბიუჯეტების, მიზნობრივი პროგრამების შედგენისა და შესრულების მონიტორინგის საკითხებზე.

ამ ორი პროექტის რეალიზაციის დროს გამოვლინდა ის ძირითადი პრობლემა, რაც დაედო საფუძვლად ახალი პროექტის – „თემთა მობილიზაციის ინიციატივა“ შემუშავებას. ეს პრობლემა კი, თვითმმართველობის ორგანოებსა და მოსახლეობას შორის ურთიერთქმედებისა და თანამშრომლობის ფორმების არარსებობა იყო. დღეისათვის თემებში მოსახლების მოთხოვნილებების კვლევების მეტ-ნაკლებად ობიექტური მეთოდიკა პრაქტიკულად არ არსებობს. მოსახლეობა არ არის ჩართული პრობლემების კვლევისა და პრიორიტეტების დადგენის საკითხებში, ნაკლებადაა ინფორმირებული მათი თემებისკენ მიმართული საბიუჯეტო სახსრების შესახებ. უმეტეს შემთხვევებში, არ არსებობს ურთიერთკავშირი თემის მოსახლეობასა და საკრებულოს წევრებს შორის.

შესაბამისად, პროექტის მთავარი მიზნები ასე ფორმულირდება: აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ხუთი მუნიციპალიტეტის შემადგენლობაში შემავალი თემების მოსახლეობის ჩართულობის დონის ამაღლება თვითმმართველობის პროცესებში; თვითმმართველობის ორგანოებსა და თემების მოსახლეობას შორის ურთიერთკავშირისა და პრაქტიკული თანამშრომლობის ფორმების ჩამოყალიბების ხელშეწყობა; სამიზნე მუნიციპალიტეტების საკრებულოების წევრებსა და მოსახლეობას შორის დიალოგის გაღრმავება და ურთიერთობების კულტურის ჩამოყალიბების ხელშეწყობა.

რაც შეეხება ამოცანებს, რომელთა შესრულებაც არის გათვალისწინებული პროექტით, ისინი მრავალფეროვანია. ეს ამოცანები პირობითად შეიძლება რამდენიმე ჯგუფად დავყოთ. პირველი – თემების მოსახლეობის მობილიზაცია, მათი აქტიური ნაწილის გამოკვეთა და თემებში არსებული პრობლემებისა და საჭიროებების კვლევის პროცესებში ჩართვა. მეორე – საინიციატივო ჯგუფების წარმომადგენლების, საკრებულოს მაჟორიტარი წევრების, თემების რწმუნებულებისა და კაშირის ექსპერტების გაერთიანება გამოვლენილ პრობლემათა გარშემო მიზნობრივი პროგრამების შესამუშავებლად. მესამე ჯგუფი კი ითვალისწინებს შემუშავებული მიზნობრივი პროგრამების საჯარო განხილვების ორგანიზებას საკრებულოებსა და გამგეობებში; ლობირების განხორციელებას მათი მუნიციპალურ ბიუჯეტებში ჩართვის მიზნით.

– რა მეთოდებით აპირებთ თვითმმართველობების და მოსახლეობის ჩართვას პროექტში?

– ჯერ კიდევ პროექტის შემუშავების პერიოდში, როდესაც პროექტის განხორციელების სტრატეგიაზე ვფიქრობდით, ჩამოვაყალიბეთ რამდენიმე კრიტერიუმი, რომელიც საფუძვლად დაედო პროექტის განხორციელების მეთოდოლოგიას.

პროექტის განხორციელების მეთოდოლოგია უნდა ყოფილიყო ისეთი, რომელიც საშუალებას მისცემდა ადგილობრივი მოსახლეობის აქტიურ ნაწილს უშუალოდ მიეღო მონაწილეობა თემში არსებული პრობლემების გამოკვეთის, პრიორიტეტების განსაზღვრის, მიზნობრივი პროგრამების შედგენის, მათი საჯარო განხილვებისა და ლობირების, მონიტორინგის პროცესებში; პროექტი ასევე ორმხრივად სასარგებლო უნდა ყოფილიყო როგორც თვითმმართველობების ორგანოებისათვის, ასევე თემების მოსახლეობისათვის. ორივე მხარეს უნდა მიეღო პრაქტიკული სარგებელი განხორციელებული საქმიანობების შედეგად; უნდა ჩამოყალიბებულიყო თემების მოსახლეობასა და თვითმმართველობის ორგანოს შორის თანამშრომლობის გარკვეული პრაქტიკა და ტრადიცია.

სწორედ ამ კრიტერიუმებმა განაპირობა იმ მეთოდოლოგიის შემუშავება, რომელიც პროექტის განხორციელების დროს იქნება გამოყენებული. კერძოდ:

სამიზნე თემებში საერთო კრებების ჩატარება ადგილობრივი მოსახლეობის, თემების რწმუნებულების და საკრებულოს მაჟორიტარი წევრების მონაწილეობით. აქ განიხილება თემებში არსებული პრობლემები, გამოიკვეთება მათი პრიორიტეტები; ჩატარებულ საერთო კრებებზე საინიციატივო ჯგუფების შერჩევა თემის მოსახლეობის აქტიური, ავტორიტეტული და მოტივირებული მოსახლეობის ნაწილის სახით. ისინი უშუალოდ ჩაერთვებიან პროექტით გათვალისწინებულ საქმიანობებში; გამოვლენილ პრობლემატურ საკითხებზე მიზნობრივი პროგრამების შედგენა საინიციატივო ჯგუფების, საკრებულოების მაჟორიტარი წევრების, თემების რწმუნებულების, გამგეობების საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურების წარმომადგენელთა და „ინტელექტის“ ექსპერტთა მონაწილეობით; შემუშავებული მიზნობრივი პროგრამების საჯარო განხილვების ორგანიზება თვითმმართველობის ორგანოებში თემების მოსახლეობის მონაწილეობით; შემუშავებული მიზნობრივი პროგრამების ლობირება მუნიციპალურ ბიუჯეტებში მათი ჩართვის მიზნით. თუ ადგილობრივი ბიუჯეტები არ იქნება საკმარისი მიზნობრივი პროგრამების დასაფინანსებლად, მაშინ განხორციელდება ლობირება აჭარის ბიუჯეტიდან ტრანსფერების გაზრდისათვის.

– თქვენი აზრით, საბოლოოდ მიაღწევთ თუ არა სასურველ შედეგს?

– პროექტის შედეგები პირობითად ორ ნაწილად შეიძლება გავყოთ. პირველი – პრაქტიკული შედეგები, ანუ ის მიზნობრივი პროგრამები, რომლებიც შემუშავებული და დაფინანსებული იქნება მუნიციპალური ან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტიდან და მეორე – ინსტიტუციონალური. მე პირადად მეორე ასპექტი მიმაჩნია უფრო მნიშვნელოვნად და მასზე გავამახვილებ უფრო მეტ ყურადღებას.

პროექტის – „თემთა მობილიზაციის ინიციატივა“ – განხორციელების შედეგად აჭარის ხუთი მუნიციპალიტეტის თემებში საინიციატივო ჯგუფებისა და სათემო კავშირების სახით ჩამოყალიბდება მძლავრი ინსტიტუტები, რომლებიც ორიენტირებული იქნებიან ადგილობრივ დონეზე არსებული პრობლემების გადაჭრაზე. ისინი პირობითად შეიძლება დავყოთ ორ ნაწილად:

– სიცოცხლისუნარიანი, ინფორმირებული, ავტორიტეტული, კვალიფიცირებული საინიციატივო ჯგუფები და სათემო კავშირები. პროექტის რეალიზაციის შედეგად ჩამოყალიბდებიან და გაძლიერდებიან საინიციატივო ჯგუფები და სათემო კავშირები, რომლებსაც ექნებათ შესაბამისი გამოცდილება საზოგადოებრივი ინტერესების ლობირებისა ადგილობრივ დონეზე, შეძლებენ მობილიზება გაუკეთონ თემის მოსახლეობას, ორგანიზება გაუკეთონ საქმიანობებს, რომლებიც ორიენტირებული იქნება ადგილობრივ საჭიროებებსა და პრობლემების გადაჭრაზე. სათემო კავშირებსა და საინიციატივო ჯგუფებს ექნებათ გამოცდილება ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებთან თანამშრომლობისა, რაც ხელს შეუწყობს განავითარონ და უფრო ეფექტური გახადონ ადგილობრივ ხელისუფლებასა და თემის მოსახლეობას შორის დიალოგი და ურთიერთქმედება.

– პროექტის – „თემთა მობილიზაციის ინიციატივა“ – ფარგლებში აჭარის ხუთი მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრები და გამგეობის აპარატის თანამშრომლები მიიღებენ პრაქტიკულ გამოცდილებას საზოგადოებასთან ურთიერთობის, მათთან დიალოგის წარმოების, თემებისათვის მნიშვნელოვან საკითხებზე მსჯელობის, პრობლემების პრიორიტეტებისა და მიზნობრივი პროგრამების შედგენის საკითხებზე. პროექტის მიმდინარეობის პერიოდში წარმატებით განხორციელებული მიზნობრივი პროგრამები აამაღლებს მათ ავტორიტეტს და ნდობას თემების მოსახლეობის მხრიდან, რაც დიდი სტიმული იქნება იმისათვის, რომ მიღებულ პრაქტიკულ გამოცდილებას ისინი მომავალშიც გაუკეთებენ რეალიზებას და შეეცდებიან უფრო დახვენონ მათი საქმიანობის ფორმები.

პროექტის წარმატება ბევრ ფაქტორზეა დამოკიდებული. სასურველი შედეგის მისაღებად აუცილებელია კოორდინირებული მოქმედება თემის მოსახლეობის, მუნიციპალიტეტების გამგეობების, საკრებულოების, კაშირის ექსპერტების, აჭარის უმაღლესი საბჭოს მაჟორიტარი დეპუტატების, ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს, მთლიანად აჭარის მთავრობის მხრიდან. ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირი „ინტელექტი“, თავისი საქმიანობის მრავალწლიან გამოცდილებაზე დაყრდობით შეეცდება განახორციელოს ასეთი კოორდინაცია. ღრმად ვართ დარწმუნებული, რომ პროექტის დასრულების შემდეგ შეძლებთ ამაყად განვაცხადოთ, რომ ჩვენ ყველამ ერთად მივაღწიეთ იმ შედეგს, რაც პროექტით იყო გათვალისწინებული.

„თემთა ინიციატივა“ – ჩანართის შესახებ

მოგესალმებით ძვირფასო მკითხველო!
დღეიდან 18 თვის განმავლობაში „გაზეთ ბათუმელებთან“ ერთად, ყოველთვიურად გამოვა ახალი საგაზეთო ჩანართი – „თემთა ინციატივა“.

ჩანართი გამოიცემა პროექტის – „თემთა მობილიზაციის ინიციატივა“ – ფარგლებში. პროექტს ახორციელებს არასამთავრობო ორგანიზაცია ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირი „ინტელექტი“ და ფინანსდება ევროკავშირის მიერ.

„თემთა ინიციატივა“ გააშუქებს პროექტის ფარგლებში დაგეგმილ საქმიანობებსა და იმ პროცესებს, რომლებიც მას უკავშირდება (პროექტით გათვალისწინებულ საქმიანობებზე, მიზნებსა და ამოცანებზე ზემოთ ვისაუბრეთ, ამიტომ თქვენს ყურადღებას ამაზე აღარ შევაჩერებთ). მოუხედავად იმისა, რომ ჩანართი გამოდის არასამთავრობო ორგანიზაციის ინიციატივით, ის არ იქნება მხოლოდ მისი ტრიბუნა. ნებისმიერ მკითხველს შეეძლება საკუთარი აზრის გამოხატვა. ჩვენ ვაპირებთ აქტიურად ვითანამშრომლოთ მკითხველთან და პროექტის ფარგლებში გამოთქმული მათი ყველა წინადადება გავითვალისწინოთ.

ძვირფასო მკითხველო, ითანამშრომლეთ ჩვენთან, მოგვწერეთ თქვენი მოსაზრებები გამოქვეყნებულ სტატიებთან და მასალებთან დაკავშირებით. თქვენი შენიშვნები და წინადადებები გათვალისწინებული იქნება.

წარმატებები ვუსურვოთ მკითხველს
და გამოცემას. იმედია, ყველაფერი კარგად
წარიმართება... თუმცა შედეგებს დრო გვიჩვენებს.

გურანდა შაინიძე

პროექტის პრეზენტაცია

2007 წლის 25 ნოემბერს ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირმა „ინტელექტმა“ ჩაატარა ახლი პროექტის – „თემთა მობილიზაციის ინიციატივა“ – პრეზენტაცია, რომელზეც მონვეული იყვნენ ევროკავშირის ელჩის თანაშემწე და პროგრამების დირექტორი, მარტინ კლაუკე, აჭარის უმაღლესი საბჭოს დეპუტატები, პროექტის სამიზნე მუნიციპალიტეტების საკრებულოს თავმჯდომარეები და გამგებლები, აჭარაში მოქმედი არასამთავრობო ორგანიზაციებისა და მასმედიის წარმომადგენლები.

პრეზენტაციაზე ევროკავშირის წარმომადგენელმა, მონაწილეებმა და სტუმრებმა პროექტს დადებითი შეფასება მისცეს. ისაუბრეს პროექტის აქტუალობასა და მნიშვნელობაზე. პროექტით კმაყოფილი დარჩნენ აგრეთვე სამთავრობო სექტორის წარმომადგენლები, რომლებმაც, თავის მხრივ, პროექტის განხორციელებაში აქტიური მონაწილეობის პირობა დადეს.

მერაბ ქიძინიძე, აჭარის უმაღლესი საბჭოს საფინანსო, საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე: „ვთვლი, რომ საუკეთესო პროექტია, რომელიც განხორციელდება ევროკავშირის მხარდაჭერით. რაც შეეხება იმას, თუ რამდენად სასარგებლოა, უნდა გითხრათ, რომ ბიუჯეტის კანონი აუცილებლად უნდა შედგეს მხოლოდ და მხოლოდ იმ კვლევების საფუძველზე, რომელიც აუცილებელია ჩატარდეს სამოქალაქო სექტორში. თუკი ჩვენ გვეცოდინება, რა აწუხებს ამა თუ იმ მუნიციპალიტეტს, თემს, სოფელს, ის მკურნალობა, რომელიც მას ბიუჯეტმა უნდა ჩაუტაროს, აშკარად ეფექტური და სასარგებლო იქნება. პრიორიტეტებიც გამოიკვეთება და დაიხვეწება ის პროგრამებიც, რომლებიც ასეთი მიდგომას საჭიროებენ. ვთვლი, რომ კვლევები აუცილებელია და ამასთან, კვლევებს არ უნდა ჰქონდეს ერთჯერადი სახე, არამედ ყოველი ბიუჯეტის პროგრამის შედგენისას უნდა კეთდებოდეს.

„ინტელექტს“ წარმატებებს ვუსურვებ. მათ მართლაც კარგი საქმე წამოიწყეს“.

ნაზი მიქელაძე, აჭარის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე: „ეს პროექტი საუკეთესო საშუალებაა მოსახლეობის ინტელექტის ამაღლების თვალსაზრისით, კანონების ადგილებზე გაცნობისათვის, თემებში მუშაობის აქტიური მონაწილეობისათვის, თვითმმართველობის საკითხებში მოსახლეობის ჩართულობის დონის ამაღლებისათვის. რაც მთავარია, იგი ხელს შეუწყობს საჯაროობისა და გამჭვირვალობის დანერგვას, რაც ასე მწვავედ იგრძნობა“.

იოსებ ხიმშიაშვილი, აჭარის უმაღლესი საბჭოს მაჟორატარი დეპუტატი შუახევის მუნიციპალიტეტიდან: „ეს პროექტი დადებითი მოვლენაა, თუნდაც იმ თვალსაზრისით, რომ შეეხება მაღალმთიანი რაიონებში თვითმმართველობის პროცესების გაუმჯობესებას. მიმდინარეობს რეფორმები, რომლებსაც ბევრი ეფექტი აქვს და დადებითი შედეგებიც მოგვცა, მაგრამ თვითმმართველობის რეფორმაში გავაპარეთ შეცდომა, როცა სოფლის გამგებლის ინსტიტუტი მოვშალეთ. 14 ნოემბერს საქართველოს პრეზიდენტის, პარლამენტის თავმჯდომარისა და მთავრობის თავმჯდომარის სახელზე გავაგზავნე წერილი, რომელშიც ვითხოვ, რომ ყველა სოფელს ჰყავდეს კოორდინატორი, მამასახლისის ფუნქციის შემსრულებელი, რადგან სხვანაირად სოფელი უპატრონოდ რჩება. ერთი რწმუნებული, რომელიც თემს ჰყავს, ვერაფერს გაწვდება, რადგან თემში შედის ოთხიხუთი სოფელი. ამიტომ არასამთავრობო ორგანიზაციის მიერ ასეთი მნიშვნელოვანი პროექტის განხორციელება ამ მხრივაც დაგვეხმარება. ჯერ ხალხს უნდა ვასწავლოთ, რა არის თვითმმართველობა და მერე დავეხმაროთ აქტიურად ჩაებას თვითმმართველობის პროცესებში“.

ზურაბ ხოზრევანიძე, ხულოს მუნიციპალიტეტის გამგებელი: „ვფიქრობ, პროექტი „თემთა მობილიზაციის ინიციატივა“ ხელს შეუწყობს ადგილებზე თვითმმართველობის საკითხების გაუმჯობესებას. ისინი თავად შეისწავლიან მათ წინაშე მდგარ პრობლემებს. რწმუნებულთა დახმარებით და ჩვენი ხელშეწყობით აქტიურად ჩაერთვებიან არსებული პრობლემების დაჩქარებული ფორმით გადაწყვეტის საქმეში“.

მიხეილ რიჟვაძე, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ და საპრაცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე: „პროექტი მნიშვნელოვანია თუნდაც იმ კუთხით, რომ თვითმმართველობის მთავარი როლი მოსახლეობასთან მჭიდრო ურთიერთობაა. ეს პროექტი კი ხელს შეუწყობს მოსახლეობასთან ურთიერთობის ფორმების ჩამოყალიბებას. არჩევნების შემდეგ, როცა მოხდა უფლებამოსილების ცნობა, მოსახლეობას, ფაქტობრივად, დავშორდით. ეს პროექტი ერთ-ერთი საუკეთესო მაგალითი იქნება იმისა, რომ მოსახლეობასა და მთავრობას შორის იყოს დიალოგი, ხშირად შევხვდეთ და ის პრობლემები, რომელიც არსებობს თემებში, მათთან ერთად გადაწყდეს, დაიწეროს მიზნობრივი პროგრამა, ხოლო შემდეგ მოხდეს მისი საკრებულოში წარდგენა და საუკეთესო შემთხვევაში მიზნობრივი პროგრამის მომავალი წლის ბიუჯეტში გათვალისწინება“.

გოჩა ზოიძე, ხელვაჩაურის მუნიციპალური საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე: „კარგი იქნება თუ მოსახლეობის პრობლემებზე რეაგირება იქნება, ეს გაზრდის ნდობის ფაქტორს. მაგალითად, გონიოს ციხესთან სანაპიროსთან მისასვლელი, ფაქტობრივად, არაა, რადგან ნაგავსაყრელადაა ქცეული. მოსახლეობისგან იყო წინადადება, რომ ეს ადგილი გაინმინდოს და მოხდეს ტურისტების მოზიდვა. ეს ხალხის სურვილიცაა და ჩვენიც. თუ მსგავსი პრობლემების ერთად გადაჭრას შევძლებთ, ეს კარგი იქნება ჩვენთვისაც და მოსახლეობისთვისაც. არასამთავრობო ორგანიზაცია თუ ხელს შეგვიწყობს და დაგვეხმარება მოსახლეობასთან დაახლოების კიდევ ერთი ნაბიჯის გადადგმაში, მოხარული ვიქნებით“.

რა შედეგს მოელით პროექტისგან?

მიხეილ ანანიძე

ირაკლი თურმანიძე

ირაკლი კახაძე

ირაკლი თურმანიძე, ეკონომიკის ექსპერტი, „ინტელექტის“ წარმომადგენელი ქობულეთის მუნიციპალიტეტში: „პროექტი „თემთა მობილიზაციის ინიციატივა“ მიზნად ისახავს მოსახლეობასა და ადგილობრივ ხელისუფლებას შორის პრაქტიკული თანამშრომლობის მეთოდების დანერგვასა და ჩამოყალიბებას. წლების მანძილზე თვითმმართველობა ადგილობრივ დონეზე ხორციელდებოდა ფორმალურად, თემში არსებული პრობლემები წყდებოდა არა მოსახლეობის საჭიროებიდან გამომდინარე, არამედ ისე, როგორც ამას გადაწყვეტდა ადგილობრივი ხელისუფალი.

პროექტის ფარგლებში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ხუთი მუნიციპალიტეტის თითოეულ თემში მოხდება მოსახლეობასთან შეხვედრები და თემში არსებული პრობლემების კვლევა. არსებულ პრობლემებზე შემუშავდება მიზნობრივი პროგრამები, რომლებიც შემდგომში გათვალისწინებული იქნება ადგილობრივ ბიუჯეტში. ჩვენი პროექტის მთავარ მიზანს წარმოადგენს ქვევიდან ზემოთ ინიცირებული საკითხების გადაწყვეტა, ანუ ვცდილობთ მაქსიმალურად იყოს გათვალისწინებული მოსახლეობის ინტერესები ადგილობრივ ბიუჯეტში. ეს მოსახლეობასა და ადგილობრივ ხელისუფლებას შორის ნდობისა და თანამშრომლობის ჩამოყალიბებას გამოიწვევს“.

ირაკლი კახაძე, ეკონომიკის ექსპერტი, „ინტელექტის“ წარმომადგენელი ხულოსა და შუახევის მუნიციპალიტეტებში: „პროექტი მნიშვნელოვანია იმ კუთხითაც, რომ მოსახლეობა, რომელსაც მთელი ამ წლების მანძილზე ნდობა დაკარგული ჰქონდა ხელისუფლების მიმართ, გარკვეულნილად დაიბრუნებს ამ ნდობას და ხალხიც შეძლებს თავის პრობლემებზე ღიად, შიშის გარეშე საუბარს. მოსახლეობას ბევრი პრობლემა აწუხებს: გზები, სასმელი წყალი, სარწყავი არხი, ხიდები და ა.შ. ამ საკითხების მოგვარება ადგილობრივი ხელისუფლების დონეზეა შესაძლებელი. პროექტისადმი დინტერესებადიდია, როგორც ხალხის, ისე თვითმმართველი ორგანოების მხრიდან. მე, სათემო კავშირ „ქედლებთან“ ერთად ხულოსა და შუახევის მუნიციპალიტეტებში ვმუშაობ, სადაც ყველაფერი ნორმალურად მიდის. იმედია, ასე გაგრძელდება და ნებისმიერი თვითმმართველი ორგანო, რომელსაც აინტერესებს მოსახლეობის გასაჭირი, ჩვენთან აქტიურად ითანამშრომლებს“.

მიხეილ ანანიძე, ეკონომიკის ექსპერტი, „ინტელექტის“ წარმომადგენელი ქედისა და ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტებში: „როგორც უკვე ჩემმა კოლეგებმა აღნიშნეს, პროექტი ითვალისწინებს მოსახლეობის აქტიურ მონაწილეობას ადგილობრივი თვითმმართველობის პროცესებში. ჩემი აზრით, პროექტს დიდი გამოხმაურება ექნება როგორც მოსახლეობისაგან, ისე ადგილობრივი თვითმმართველობის თუ აჭარის ხელისუფლების წარმომადგენლებისაგან. პროექტით გათვალისწინებულ საკითხებზე უკვე ჩატარდა მოსახლეობის რამდენიმე საერთო კრება. ამან მოსახლეობაში დიდი დაინტერესება უკვე გამოიწვია.

პროექტის წარმატებით განხორციელება გამოიწვევს მოსახლეობაში ნდობის ხარისხის ამაღლებას ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლების მიმართ. მოსახლეობა დარწმუნდება, რომ მას გააჩნია შესაძლებლობა წამოაყენოს საკუთარი ინიციატივა და უზრუნველყოს ამ ინიციატივის ღობირება ადგილობრივი ხელისუფლების დონეზე.

პროექტის ფარგლებში ჩართული არიან სპეციალისტები, რომლებსაც გააჩნიათ გამოცდილება მსგავსი საქმიანობის განხორციელებისა. ეს მნიშვნელოვანი ფაქტორია. პროექტი გათვლილია გრძელვადიან შედეგზე, რაც უზრუნველყოფს რეალური თვითმმართველობის ჩამოყალიბებას რეგიონში. ეს შეძლება, მომავალში საქართველოს სხვა თვითმმართველობებისათვისაც მაგალითი გახდეს“.

საგაზეთო ჩანართი მომზადებულია ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით. ტექსტში მოყვანილი მოსაზრებები შეიძლება არ ემთხვეოდეს ევროკავშირის ოფიციალურ პოზიციას.

საგაზეთო ჩანართს გამოსცემს არასამთავრობო ორგანიზაცია ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირი „ინტელექტი“

საგაზეთო ჩანართის რედაქტორი: გურანდა შაინიძე

საგაზეთო ჩანართი „თემთა ინიციატივა“
მისამართი: ბათუმი, რუსთაველის გამზ. №25
ტელ.: 77415, ფაქსი: 77126
ელ.ფოსტა: info@intellect.org.ge
ვებგვერდი: www.intellect.org.ge